აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად. ისევე, როგორც ადრე, კომიტეტის საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტი იყო თავისი კომპეტენციის ფარგლებში აქტიურად მონაწილეობდა მიმდინარე, მათ შორის საკანონმდებლო საქმიანობაში.

ჩვენი დეპუტატებისათვის ცნობილია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაბადებულ და მცხოვრებ, ასევე ამ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ და სხვადასხვა დროს საქართველოდან ემიგრაციაში წასულ პირთა მიმართ საქართველოს მოქალაქეობის დადგენასთან დაკავშირებული სიძნელეების შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, გახშირდა შემთხვევები, როდესაც ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსული პირი ითხოვს საქართველოს მოქალაქედ ცნობას, თუმცა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება ვერ ხერხდება სხვასხვა გარემოებების გამო. პირველი არის ის, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაბადებულ და მცხოვრებ პირთათვის საქართველოს მოქალაქეობის დადგენისას დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს უცხო ქვეყნის, მათ შორის რუსეთის ფედერაციის მიერ მათთვის მოქალაქეობის უკანონოდ მინიჭება, რომელსაც საქართველო ცნობს იურიდიული ძალის მქონედ, ხოლო მოქალაქეობის გამონაკლისი წესით მინიჭების შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს ქართული ენის, ისტორიისა და სამართლის დადგენილ ფარგლებში ცოდნის ვალდებულება. სამწუხაროდ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა აბსოლუტური უმრავლესობა მოკლებულია ამ ცოდნას, ვინაიდან, ცნობილია, საოკუპაციო რეჟიმის მიერ შექმნილი ისეთი ვითარება, რომელიც ზღუდავს ქართული ენისა და ისტორიის შესწავლის ყველანაირ შესაძლებლობას. ამ შეზღუდვების გამო, მათ, ბუნებრივია, არც საქართველოს სამართალის საფუძვლისა და კანონმდებლობის ცოდნისადმი აქვთ წვდომა. მოგეხსენებათ ასევე, რომ სახელმწიფოს ინტერესებშია ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაბადებულ და მცხოვრებ პირთა საქართველოში სრულყოფილი რეინტეგრაცია და მათზე საქართველოს იურისდიქციის გავრცელება. რეალურად კი, შექმნილია ისეთი ვითარება, როდესაც პირი, რომელსაც უნდა დაუდგინდეს საქართველოს მოქალაქეობა, აღიარებს საქართველოს იურისდიქციას, ქართული კანონმდებლობის უზენაესობას, ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და ა.შ., მოქმედი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოკლებულია საქართველოს მოქალაქეობის მიღების

შესაძლებლობას. ამასთან დაკავშირებით თავმჯდომარის კაბინეტის თანამშრომლებთან ერთად კონსულტაციას და დახმარებას ვუწევდით განცხადებით თუ თხოვნით მოსულ პირებს.

თქვენთვის ცნობილია იმის შესახებაც, რომ საქართველოს პარლამენტში არსებული პროცედურის შესაბამისად წარდგენილია ცვლილებების პროექტი კანონში „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქეობის საკითხების ახლებური რეგლამენტაცია არსებული გამოწვევებისა და პრაქტიკული საჭიროებების გათვალისწინებით. ზემოაღნიშნულ პირებს ცვლილებებით უადვილდება საქართველოს მოქალაქეობის, როგორც დადგენის, ისე საგამონაკლისო წესით მინიჭებასთან დაკავშირებულ პროცედურები.

კანონპროექტები ამჟამადაც იმყოფება საქართველოს პარლამენტში. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, როგორც ჩემთვის ცნობილია, კონსულტაციები ქონდა პარლამენტში. იმედია, რომ პარლამენტი დაუბრუნდება ამ საკითხს.

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, დადგინდა სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების ახალი წესი, რომლის შესაბამისად განისაზღვრა აფხაზეთის ხელისუფლებაში ამ სიმბოლოების გამოყენების წესიც, რომელიც არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების - სახელმწიფო დროშის, სახელმწიფო გერბისა და ჰიმნის გამოყენების წესს, მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებთან მიმართებით.

ამ გარემოებამ აუცილებელი გახადა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესაბმისი ცვლილებების ინიცირება, რასაც აფხაზეთის უმღლესმა საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი.

დევნილებისათვის საცხოვრებელი ფართის განაწილების პროცედურას ახლავს ერთი, ჩვენი აზრით, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ დელიკატური საკითხი. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის და მისი კაბინეტის მონაწილეობით გასულ წელს დავიწყეთ და გვაქვს პროექტის სამუშაო ვარიანტი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე.

ჩვენი წინადადებით, კანონს ემატება მე-13[1] მუხლი, კერძოდ, „გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი“. პროექტის თანახმად, დევნილი ოჯახის წევრის გარდაცვალებისას, გარდაცვალების ფაქტი გავლენას არ იქონიებს დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კრიტერიუმებზე.

აღნიშნული ცვლილების კანონში ასახვა დადებით გავლენას მოახდენს დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესზე, ვინაიდან დევნილის ოჯახისათვის საცხოვრებელი ფართის გადაცემის საკითხის განხილვისას შესაბამისი კომისია

გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელებს იმავე ქულათა რაოდენობის მიხედვით, როგორიც მის ოჯახს ჰქონდა წევრის გარდაცვალებამდე. აღნიშნული პროექტთან დაკავშირებით აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს საქართველოს პარლამენტის წევრებთან და საკითხის საბოლოოდ შეჯერებისთანავე, ვფიქრობთ, პროექტის საკანონმდებლო წესით თქვენთვის წარდგენას.

მეორე კანონპროექტი, რომელზეც კომიტეტი უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარესთან და მის კაბინეტთან აქტიური თანამშრომლობით ამუშავებს, მიზნად ისახავს ასევე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანას.

აღნიშნული კანონის თანახმად უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა დაშვებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან, ხოლო ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე) - გორის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან. ყველა სხვა მიმართულებიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა (კანონით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის აკრძალულია და საქართველოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მათი მოხვედრის შემდეგ ეკისრებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპაციამდე და ოკუპაციის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობის უმეტეს ნაწილს უკანონოდ დაურიგდა რუსეთის ფედერაციის პასპორტები. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ბევრი ჩვენი თანამოქალაქე ცნობილი მოვლენების გამო საზღვარგარეთ წავიდა საცხოვრებლად და მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და ამ ფაქტის გამო მათზე ვრცელდება „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი შეზღუდვები.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღებით, როგორც აფხაზეთსა და ცხინვალის ტერიტორიაზე მცხოვრებ, ისე ამ რეგიონებიდან გასულ პირებს და მათ შთამომავლებს, რომლებსაც ცნობილი მიზეზების გამო მოუწიათ ოკუპირებული ტერიტორიების დატოვება, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაადგილებისას არ დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობა და მიეცემათ ქართულ მხარესთან აქტიური და სამართლებრივი თვალსაზრისით შეუფერხებელი ურთიერთობის შესაძლებლობა, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს აფხაზეთისა და ე.წ. ცხინვალის რეგიონის ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში რეინტეგრაციის გაღრმავების პროცესს.

უნდა მოგახსენოთ, რომ აღნიშნულ კანონპროექთან დაკავშირებითაც აქტიურ კონსულტაციებს გავდივართ შესაბამის სამსახურებთან და საკითხის საბოლოოდ დამუშავების შემდეგ მას მივაწოდებთ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

კომიტეტის მიერ საკანონმდებლო წესით ინიცირებულ იყო რამოდენიმე კანონპროექტი „ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. პირველი ცვლილებით საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების განმარტებით ბარათში სხვა ინფორმაციასთან ერთად აისახა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება.

მეორე საკანონმდებლო ინიციატივის მიზანი იყო „ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის კანონში ასახულიყო მუხლი, რომელიც გაითვალისწინებდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებების გამოყენების შესაძლებლობას.

აფხაზეთის უმაღლესის საბჭოს ყურადღება კონცენტრირებული იყო ოკუპირებულ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ აფხაზეთის კერძო თუ სახელმწიფო საკუთრებაზე ზეგავლენის მოპოვების მცდელობებზე. გამომდინარე აქედან, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის ყურდღების ცენტრში იყო კრემლსა და სოხუმს შორის დადებული ე.წ ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

ცნობილია, რომ ზემოაღნიშნულ „დოკუმენტებს“ იურიდიული ძალა არ გააჩნია. მოგეხსენებათ, ისიც, რომ ამ „ხელშეკრულებებს“ მოწინააღმდეგეები ჰყავს თავად აფხაზეთშიც.

ბუნებრივია, უმაღლესი საბჭო ვერ დატოვებდა უყურადღებოდ ამ ე. წ. ხელშეკრულებებს და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტთან აქტიური თანამშრომლობით კომიტეტმა უმაღლეს საბჭოში მოახდინა ამ ხელშეკრულებების უკანონოდ ცნობის თაობაზე დადგენილების პროექტების ინიციირება. კერძოდ, რუსეთის ფედერაციისა და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის მთავრობებს შორის 2023 წლის 16 ივნისს ხელმოწერილ ე.წ. შეთანხმებას საერთაშორისო აეროპორტ „სოხუმის“ საქმიანობის აღდგენისა და შემდგომი ექსპლუატაციისთვის რუსეთის იურიდიულ პირის მიერ საინვესტიციო პროექტის განხორციელების თაობაზე, რომელსაც 26 ივლისს აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტმა მისი „რატიფიცირება“ მოახდინა.

„შეთანხმება“ ითვალისწინებს ე.წ. აფხაზური მხარის მიერ რუსეთის იურიდიული პირისთვის, მიწის ნაკვეთებისა და შესაბამის ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემას. აგრეთვე, სრულიად გაუმართლებელი შეღავათებისა და გარანტიების მინიჭებას, აფხაზური მხარისთვის ცალმხრივი კაბალური ვალდებულებების

დაკისრებას. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ამ გადაწყვეტილების უკანონოდ ცნობის თაობაზე.

ამ დღეებში მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობამ პროტესტი გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ მათ საცხოვრებელ სახლებსა და საკარმიდამო ნაკვეთებს დაემუქრა ჩამორთმევა აეროპორტის დამხმარე ნაგებობების მშენებლობისათვის. სიტუაციის განმუხტავაში ჩარევა მოუწიათ ე.წ. ვიცე-პრეზიდენტს და მინისტრს.

რუსეთის ფედერაციის მხრიდან ხანგრძლივი და ამასთანავე უხეში ზეწოლის შედეგად 2022 წლის 27 სექტემბერს მოსკოვსა და სოხუმს შორის დაიდო ე.წ. შეთანხმება ორმაგი მოქალაქეობის საკითხების დარეგულირების შესახებ. 2022 წლის 29 დეკემბერს აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტმა მისი „რატიფიცირება“ მოახდინა.

გასული, მათ შორის 2023 წლის მოვლენების ამ და სხვა ანალოგიური საკითხების ანალიზსა და ოკუპირბულ აფხაზეთში არსებული ვითრების მიმოხილვას მიეძღვნა კომიტეტში მომზადებული ვრცელი მოხსენება

როგორც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სხვა კომიტეტებმა და ფრაქციებმა ისევე კომიტეტმა შეისწავლა და დაამუშავა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, „ინფორმაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის 3 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, შესწავლილ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინფორმაცია „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშთან“ დაკავშირებით;

განხილულ იქნა მხარჯავი დაწესებულებების პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების ღონისძიებების 2023 წლის 9 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია. კომიტეტს გააჩნია თავის მოსზრებები და შენიშვნები შემოსულ ყველა განსახილველ დოკუმენტთან. მაგალითად, წარმოდგენილ ამ ბოლო დოკუმენტთან დაკავშირებით ითქვა, რომ არ იყო სრულად გაშლილი გამოყოფილი თანხების მიზნობრიობა. შენიშვნის საგანი გახდა აგრეთვე ის გარემოება, რომ ცვლილებებში გათვალისწინებული იყო ხარჯები არა სოციალური მიმართულებით, არამედ, ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარავად. ცნობილია, რომ შპს-ები ყოველწლიურად, სტაბილურად ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებთან შედარებით, მათ საგრძნობლად გაზარდეს საკუთარი შემოსავლები, ამ ორგანიზაციების საკუთარი შემოსავლების წილი ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებასთან შედარებით, მაინც უმნიშვნელოა. კომიტეტის რეკომენდაციით საჭირო იყო საკითხისადმი რეალისტური მიდგომა,

როგორც მთავრობის, ისე სსიპ-ების მხრიდან, რათა დასახულიყო საკუთარი შემოსავლების ზრდის გზები, რასაც ხელი უნდა შეეწყო შემოსავლების ეტაპობრივ ზრდას. სამწუხაროდ ამ რეკომენდაციებს ხელშესახები შედეგები არ მოყოლია.

შესწავლილ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აფხაზეთის კანონის პროექტი.

სხდომაზე გამოითქვა შენიშვნები აფხაზეთის აუდტიის სამსხურის მიმართაც- პრაქტიკულად ყველა ანგარიშში ბიუჯეტის პარამეტრების შესრულების შედეგების ეფექტიანობის რეალური შეფასების შეუძლებლობის მიზეზად წლიდან წლამდე ნახსენებია ერთი და იგევე ნაკლოლვანება: „რიგი პროგრამის/ქვეპროგრამის შემთხვევაში ინდიკატორში მითითებული მაჩვენებლის წარმოდგენისას, ხშირად რთული დასადგენია: მონაცემები რამდენად რეალისტურია და რამდენად შეესაბამება მიზნობრივ მაჩვენებელს, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, ბიუჯეტის გადასახდელების მნიშვნელოვანი ზრდა, რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განმარტებებში (გარდა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზრდისა) არგუმენტირებულად არ არის წარმოდგენილი (ახსნილი), რის გამოც, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, წარმოადგინოს მოსაზრება იმის თაობაზე, რამდენად ეფექტიანია დაგეგმილი ზრდა“.

კომიტეტის დასკვნა და სურვილი იყო ასეთი: გაკეთდეს რეალისტური დასკვნა ამ პროგრამების შესრულებისა, ვინაიდან, როდესაც არსებობს ამის სურვილი, ამის გაკეთება შესაძლებელია. საქმე იმასია, რომ ეს შენიშვნა წლიდან წლამდე გადადის ერთი დოკუმენტიდან მეორეში და მეტი-არაფერი.

კომიტეტის წევრებს შორის გაურკველობას იწვევს ის, რომ კვლაინდებურად ხდება სხვა და სხვა უწყებაში ერთი და იგივე შინაარსობრივად ერთგვაროვანი პროგრამების დაფინასება. როგორც ეს ხდება განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და იუსტიციისა და სამოქაალაქო ინტეგრაციის მინისტრის აპრატის პროექტის „მშვიდობის ლაბორატორია“ მაგალითზე. პროექტი ითვალისწინებს იმიგრაციაში მყოფ დევნილებთან განსახორციელებელ პროექტებს, ანალოგიური აქტივობები გათვალისწინებულია განათლებისა და კულუტურიას სამინსტროში.

მსგავსი გადაფარვა ხდება ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან მიმართებაში. ბიუჯეტის ისეთ პროგრამასთან, რომელიც ითვალისწინებს გამყოფ ხაზს მიღმა მცხოვრები მოსახლეობისათვის განკუთვნილი პროექტების ფარგლებში მუშაობას. აქ შეიძლებოდა ორი უწყების ერთობლივად მუშაობის კოორდინაცია, რამეთუ არ ყოფილიყო თემის დუბლირება.

სხვა საკითხია, თუ რატომ არ რეაგირებს ასეთ საკითხებზე აუდიტის სამსახური.

კომიტეტის წევრთა აზრით წარმოდგენილ ბიუჯეტში არ იყო ასახული შესაბამისი დამაჯერებელი არგუმენტები და დასაბუთებები, რომლებიც გახდა 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტში დასვენების, კულტურისა და განათლების მიმართულებით ასიგნებების ზრდის, ხოლო ჯანდაცვის პროგრამების შემცირების საფუძველი, უკეთეს შემთხვევაში, უმნიშვნელო მატებისა. ეს ბოლო შენიშვნა ეხებოდა მთლიანად სოცილურ პაკეტს.

2024 წლის ბიუჯეტის გაზრდილი პარამეტრები ფონზე მიზანშეწონილი იყო სოცილური პაკეტის გაზრდა ყველაზე მოწყვლადი დევნილთა იმ კატეგორიისათვის, რომლთათვის გათვალისწინებულია ყოველწლიური ერთჯერადი დახმარება. ამ ბენეფიციარების რაოდენობა, სამწუხაროდ, სახვა და სხვა მიზეზით მცირდება.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ კომიტეტის, დეპუტატების რიგი რეკომენდაცია, შენიშვნა და თხოვნა გათვალისწინებული იქნა:

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიის სტატუსით გაერთინების 105 წლისთავისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარის არზაყან ემუხვარის გარდაცვალებებიდან 85 წლის აღნიშვნის ღონისძიებათა დაფინანსება;

აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის სარეზერვო ფონდიდან დაფინანდა საქართველოს პირველი ეროვნული გმირის, აფხაზეთის თავდაცვისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჯიული შარტავას ბიუსტის ზუგდიდში დადგმის პროექტი;

ალბათ, მომავალის წლის ბიუჯეტს ელოდება ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მწერლის, პოეტის, მეცნირებათა დოქტორის, პროფესორის რაულ ჩილაჩავას აფხაზეთისადმი მიძღვნილი ლექსთა კრებული გამოცემის დაფინანსება;

და, რა თქმა, უნდა აუდიტის სამსახური რეკმენდაციების გათვალისწინება მომდევნო ეტაპეპზე ბიუჯეტის შესრულების, დაგეგემვის დროს.

იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა გასული წლის განმავლობაში ჩაატარა კომიტეტის 29 სხდომა. მოხდა 11 კანონპროექტის ინიციირება. მუშაობდა უმაღლესი საბჭოს 8 დადგენილების პროექტზე, აქედან 5 პროექტზე იყო წამყვანი. კომიტეტში შემოვიდა 171 წერილი, აქედან ინფორმაციული ხასიათის იყო 87, ხოლო შესწავლისა და შესაბამისი დამუშავების შედეგად გასულია 67 პასუხი.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი კომიტეტი, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და დებულების მოთხოვნის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თანამშრომლობს მთავრობის ყველა უწყებასთან, მაგრამ უფრო მჭიდროდ, ვიდრე

სხვებთან, თანამშრომლობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის იუსტიციისა და სამოქალაქო საკითხებში მონისტრის აპარატთან.

ჩვენი ინფორმაციით, მინისტრის აპარატის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესწავლილ იქნა და შესაბამისი შეთანხმების წერილი მომზადდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლებების დაწესებულებებიდან წარმოდგენილ ნორმატიული აქტის 2 პროექტზე, ხოლო სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა და შესაბამისი სამართლებრივი დასკვნა გაიცა ნორმატიული აქტის 5 პროექტზე. ასევე, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე აიტვირთა და გამოქვეყნდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 4 დადგენილება და მინისტრის 5 ბრძანება.

მინისტრის აპარატში შექმნილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ პირთა რეგისტრაციის, პირადი ნომრის მინიჭების, პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მიერ 2023 წლის განმავლობაში განხილულ იქნა რეგისტრაციისა და პირადი ნომრის მინიჭების უფლების მქონე, პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ უფლებამოსილ პირთა 70 განცხადება. მათ შორის გაიცა 62 დადებითი პასუხი და 8 უარყოფითი. თუმცა რა გახდა უარის საფუძველი, მითითებული არ ყოფილა.

აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მოიზნით მთელი წლის განმავლობაში მთავრობის აპარატის ორგანიზებითა და მინისტრის აპარატის ჩართულობით მოეწყო სამართლებრივ საკითხებზე სარეკომენდაციო ხასიათის ღონისძიებები; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა წარმომადგენლების შეხვედრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან.

ჩვენს კომიტეტს პირდაპირი შეხება არა აქვს აფხაზეთის მსჯავრდადებულთა საკითხებთან, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ მინისტრის აპარატის დებულებაში ეს საკითხი აღნიშნულია როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული, დავინტერესდით, თუ რა სახის საქმიანობაა გაწეული აფხაზეთის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით და რა

სახის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში მიიღო აპარატმა მონაწილეობა, როგორც ამას ზემოთ აღნიშნული დებულება ითხოვს.

ამასთან არის სხვა საკითხები, რომლებზეც იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს აინტერესებდა, თუ რამდენად არის ჩართული მინისტრის აპარატი მთავრობის უწყებების სამართლებრივ კომპეტენციის ამაღლებაში, სამართლებრივი კულტურის დანერგვაში, გაცნობიერებაში. ისეთი საკითხები როგორიცაა: თუ რამდენი და რა სახის რეკომენდაცია და წინადადება მომზადდა სამართლებრივ საკითხებზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებებით რეფორმის გატარების მიზნით და რა პრიორიტეტები იქნა შერჩეული აპარატის მიერ.

სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხზეც პასუხგაუცემელი დარჩა და უნდა მოგახსენოთ, რომ, როგორც წინა, ისე ეს საკითხიც მომავალში იქნება ჩვენი კომიტეტის ინტერესთა სფეროში და ვეცდებით ამ მიმართულებით ამომწურავი პასუხის მიღებას მინისტრის აპარატიდან ამ მხრივ გადაგმული ნაბიჯების შესახებ.

მოგეხსენებათ, რომ გასულ წელს აფხაზეთის ა/რ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ადგილი ქონდა შრომით დავებს. ერთი მათგანი დასრულდა იმით, რომ ერთ-ერთ სამინისტროს დაეკისრა ხელფასისა და განაცდურის ანაზღაურება.

ამასთან გაირკვა, რომ მინისტრის აპარატში მიმდინარეობს კიდევ ერთი სასამართლო დავა და დავის საგანს ისევე წარმოადგენს მოსარჩელის სამსახურში აღდგენა და განაცდური ხელფასის ანაზღაურება. ეს, როგორც ირკვევა, მიმდინარე საქმეა და შედეგი ჯერ უცნობია.

რაც შეეხება სამართლებრივ საკითხებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ის იყოს ერთი უწყების გამგებლობაში, რათა უფრო ეფექტიანად მოხდეს ამ მნიშვნელოვანი მიმართულების განხორციელება.

როგორც ვხედავთ, მინისტრის აპარატის წინაშე მისი დებულებიდან გამომდინარე მოქმედების საკმაოდ მრავალფეროვანი ამოცანებია დასახული, რაც სცილდება ამ უწყების დანიშნულებას.

აქტიური კომუნიკაცია გვქონდა დევნილთა სამინისტროსთან. გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია დევნილთა განსახლების ობიექტებში მცხოვრები ოჯახების გამრიცხველიანობასთან დაკავშირებით, დევნილთა საცხოვრებლებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების შესახებ, კომიტეტი დაინტერესდა იძულებით გადაადგილებულ პირთა იურიდიული მხარდაჭერის პროგრამის საქმიანობით. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ამ მიმართულებით დახმარების გაწევა დევნილებისთვის უსახსრობის გამო ვერ ხერხდება ისე, როგორც ამას არსებული სიტუაცია მოითხოვს.

კომიტეტი საკმაოდ ნაყოფიერად თანამშრომლობდა უმაღლესი საბჭოს სხვა კომიტეტებთან და ფრაქციებთან საკანონმდებლო თუ ნორმატიული აქტების დამუშავების საკითხებში.

კონტროლს ახორციელებდა უმაღლესი საბჭოს რეგლამენის მოთხოვნათა შესრულებაზე: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ეთიკის საბჭოს შემადგენლობის როტაციაზე, კომიტეტებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დაცვაზე.

იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი თავის სხდომაზე, რეგლამენტის მოთხოვნის საფუძველზე იხილავდა უმაღლესი საბჭოს წვერების მიერ პლენარული და კომიტეტების სხდომებზე დასწრების შესახებ მონაცემებს. უნდა ითქვას, რომ გასულ წელს უმაღლესი საბჭოს წევრთა მიმართ რეგლამენტის 124-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციები არ გამოყენებულა. ჩვენ წელსაც გავაგრძელებთ საპროცედურო საკითხების ამ მიმართულებით აქტიურ საქმიანობას.

ჩვენ მოგვმართეს სასამართლო დავებთან დაკავშირებით კონსულტაციების მიზნით. მათ გაეწიათ შესაბამისი კონსულტაციები. პრაქტიკული დახმარება გაეწიათ დევნილებს საბანკო პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე;

კომიტეტისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია დევნილ მოსახლეობასთან ურთიერთობა. შეძლებისდაგვარად ვცდილობთ ყურადღების გარეშე არ დავტოვოთ მათი მომართვები..კომიტეტი აქტიურ მონაწილეობას იღებს ფონდი სოლიდარობისთვის ფარგლებში დევნილი მოსახლეობისთვის გაწეულ დახმარებაში.

ბოლოს მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი კომიტეტის ყველა წევრს, თავმჯდომარის აპარატის თანამშრომლებს, უმაღლესი საბჭოს აპარატს კომიტეტის საქმიანობაში გაწეული აქტიური მუშაობისთვის.